ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს

# უწყებანი

№ 11 (479)

1980 წლის ნოემბერი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 11 (479) ნოემბერი 1980 წელი

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### განყოფილება პირველი

324. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების საკითხებზე საქართველოს სსრ ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.

325. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სოფლის მეურნეობის საკითხებზე საქართველოს სსრ ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.

### საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის მიერ მიღებული კანონები და დადგენილებები

326. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ.

327. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1981 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

328. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ადვოკატურის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე.

329. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცების თაობაზე.

330. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საქალაქო, რაიონული ორგანოების გამასწორებელი სამუშაოებისა და შრომითი მოწყობის ინსპექციებისა და საქართველოს სს რესპუბლიკაში წეს-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტების დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე.

331. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი სამანდატო კომისიის მოხსენების გამო.

332. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

333. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ 1979 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ.

334. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის სამოქმედოდ შემოღების წესის თაობაზე.

335. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის 2 აგვისტოს დადგენილების შესაბამისად რესპუბლიკის სატრანსპორტო ორგანიზაციებში დისციპლინისა და სოციალისტური კანონიერების დაცვის მდგომარეობის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისიის მოხსენების შესახებ.

336. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი ამხ. გ. ლ. ქობლიანიძის საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრად დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.

337. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის დამტკიცების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.

338. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ.

339. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი დეპუტატ ლ. ლ. ზაქაიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სოფლის მეურნეობის კომისიის წევრად არჩევის შესახებ.

## ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ

340. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველობის ავტობაზის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

341. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ გეოლოგიის სამმართველოს მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

342. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკებისათვის საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

343. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკებისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

344. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საწარმოთა მუშაკებისათვის საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

345. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ს. ბ. კაპუტიკიანისათვის საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

346. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ე. გ. კეოსაიანისათვის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

347. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. მ. მკრტიჩანისათვის საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

348. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ბ. ფანაჯიანისათვის საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

349. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ა. ხარიტონაშვილისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

350. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ახალციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

351. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გეგეჭკორის ა. მ. ჭოჭუას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

352. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პოლონური ყინულ-ბალეტის კოლექტივის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

353. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველობის ავტობაზის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

354. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა თბილისის 26 კომისრის სახელობის წითელდროშოვანი მეთაურთა საარტილერიო უმაღლესი სასწავლებლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

355. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ გეოლოგიის სამმართველოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

356. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა წნორის ზოოვეტერინარული ტექნიკუმის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

357. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ზესტაფონის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

358. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა თბილისის 26 კომისრის სახელობის წითელდროშოვანი მეთაურთა საარტილერიო უმაღლესი სასწავლებლის სამეთაურო-პოლიტიკური და პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის წარმომადგენელთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

359. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ გეოლოგიის სამმართველოს მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

360. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

361. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. კ. მ. იოსელიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

362. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ღ. ღ. მაღალაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

363. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. თ. კ. ქუთათელაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

364. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ა. ჭურაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

## განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში.

საინფორმაციო ცნობები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება პირველი

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 324 სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების საკითხებზე საქართველოს სსრ ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი საქართველოს სსრ ზოგიერთი საკანონმდებლო აქტი თანახმად დანართისა.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1980 წლის 21 ნოემბერი.

დანართი
„სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების საკითხებზე საქართველოს სსრ ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 21 ნოემბრის ბრძანებულებისა

### ნუსხა

**საქართველოს სსრ იმ საკანონმდებლო აქტებისა, რომლებმაც ძალა დაკარგეს**

1. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის 14 აპრილის დადგენილება „ჩაის ნარგავთა დაცვისათვის საჭირო ღონისძიებათა და გასაღების მიზნით ჩაის შინაურულად დამუშავების აკრძალვის თაობაზე" გამოცემული დადგენილების 1-ლი და მე-2 მუხლის შეცვლის შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ., 1933 წ.; № 12, მუხ. 155).

2. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის 4 ნოემბრის დადგენილება „საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების — კანონის ძალის მქონე აქტებად აღიარებისა და ამ ხელშეკრულებების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ., 1935 წ., № 31, მუხ. 196).

3. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის 4 დეკემბრის დადგენილება „სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების და ნედლეულის დამზადებისა, გადაზიდვასა, გადამუშავებასა, შენახვასა და გაყიდვასთან დაკავშირებული დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა თაობაზე" გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების მე-3 მუხლის გაუქმების შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ., 1935 წ., № 34, მუხ. 215).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 325 სოფლის მეურნეობის საკითხებზე საქართველოს სსრ ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი საქართველოს სსრ ზოგიერთი საკანონმდებლო აქტი თანახმად დანართისა.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1980 წლის 21 ნოემბერი.

დანართი
„სოფლის მეურნეობის საკითხებზე საქართველოს სსრ ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 21 ნოემბრის ბრძანებულებისა

### ნ უ ს ხ ა

**საქართველოს სსრ იმ საკანონმდებლო აქტებისა, რომლებმაც ძალა დაკარგეს**

1. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის 25 დეკემბრის დადგენილება „მებამბეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ., 1931 წ., № 1, მუხ. 2).

2. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის 13 იანვრის დადგენილება „მებამბეობის განვითარების ღონისძიებათა თაობაზე გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების მე-3 და მე-4 მუხლების შეცვლის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ., 1931 წ., № 3, მუხ. 35).

3. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის 4 ივლისის დადგენილება „შერეული საიალაღო კომიტეტების მოწყობისა და „წანახედით მიყენებული ზარალის გამო აღძრულ დავათა განხილვის წესის თაობაზე“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ივლისის 9-ის დადგენილების შეცვლის შესახებ“ მე-2 კარისა და მე-3 კარის მე-2 პუნქტის გარდა (საქ. სსრ კან. კრ., 1931 წ., № 14, მუხ. 159).

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის 26 თებერვლის დადგენილება „სავალდებულო აგრონომიული წესების დამყარების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ., 1933 წ., № 7, მუხ. 94).

5. „სადაზღვევო სათესლე ფონდების დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ“ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის 4 ნოემბრის დადგენილების პირველი პუნქტი (საქ. სსრ კან. კრ., 1933 წ., № 22, მუხ. 289).

6. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წლის 14 მაისის დადგენილება „სადაზღვევო სათესლე ფონდების დებულების მე-13 მუხლის გაუქმებისა და მე-14 მუხლის შეცვლის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ., 1934 წ., № 12, მუხ. 118).

## საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის მიერ მიღებული კანონები და დადგენილებები

## კ ა ნ ო ნ ი

### საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

### 326 საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

**მუხლი 1.** დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 წლის სახელმწიფო გეგმა უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა კომისიების შესწორებათა გათვალისწინებით.

**მუხლი 2.** დაწესდეს 1981 წლისათვის საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით მატების შემდეგი ტემპები:

| | (პროცენტობით 1980 წლისათვის) |
|---|---|
| რესპუბლიკის ტერიტორიაზე წარმოებული ეროვნული შემოსავალი . . . . . . . . . . . . | 50 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

(პროცენტობით 1980 წლისათვის)

| | |
|---|---|
| მრეწველობის პროდუქცია რესპუბლიკის ტერიტორიის მიხედვით . . . . . . . . . . . . | 4,9 |
| მათ შორის: | |
| საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობა . . . . . . . . . . . | 3,5 |
| სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებანი საკავშირო-რესპუბლიკურ და რესპუბლიკურ მეურნეობაში . . | 1,1 |
| საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის ტვირთბრუნვა . . . . . . . . . . . . . . | 5,6 |
| შრომის ნაყოფიერება რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობაში . . . . . . . . . . . . . | 4,0 |
| მოგება რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებისა და ორგანიზაციების სამრეწველო საქმიანობიდან .. | 11,0 |
| რეალური შემოსავლები ერთ სულ მოსახლეზე . . . | 4,6 |
| ხელფასის ფონდი რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში . . . . . . . . . . . . . . | 3,6 |
| სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა . . . . . . . . . . . . . . | 5,5 |
| მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობა . . . . . . . . . . . . | 7,8 |
| ბავშვთა რიცხვი სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ სკოლამდელ დაწესებულებებში (რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში) . . . . . . . . . . | 4,4 |
| მოსწავლეთა მიღება პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში . . . . . . . . . . . . . . . | 1,4 |
| მათ შორის: | |
| პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, რომლებიც იძლევა საერთო საშუალო განათლებას და პროფესიულ მომზადებას . . . . . . . . . . . . . | 3,4 |
| საავადმყოფო საწოლების რაოდენობა რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში . . . . . . . | 2,0 |
| სტუდენტთა მიღება უმაღლესი სასწავლებლების დღის განყოფილებებზე . . . . . . . . . . . . | 9415 კაცი |

აშენდეს 1981 წელს საკავშირო-რესპუბლიკურ და რესპუბლიკურ მეურნეობაში დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე 950,95 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მუხლი 3.** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 წლის სახელმწიფო გეგმის რეალიზაციის მიმდინარეობისას განახორციელოს ღონისძიებანი შრომის ნაყოფიერების, წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის შემდგომი ამაღლებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა ყოველმხრივ გამოყენების, ეკონომიკის ხელმძღვანელობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის მთელი შიდა რეზერვების მობილიზაციის საფუძველზე და საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს დაზუსტებანი საგეგმო დავალებებში.

**მუხლი 4.** დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილოს საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ წინადადებები და შენიშვნები, რომლებიც ჩამოყალიბებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა კომისიების დასკვნებში, აგრეთვე უმაღლესი საბჭოს სხდომებზე დეპუტატების მიერ გამოთქმული წინადადებები და შენიშვნები და მიიღოს მათ გამო შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1980 წლის 12 ნოემბერი.

## კ ა ნ ო ნ ი

## საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

## 327 საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1981 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

**მუხლი 1.** დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ 1981 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო, დარგობრივი, ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების, დედისა და ბავშვის დაცვის საკითხთა, ახალგაზრდობის საქმეთა და ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების კომისიების შესწორებათა გათვალისწინებით — შემოსავლის ნაწილში 2.264.978 ათასი მანეთი და გასავლის ნაწილში 2.264.978 ათასი მანეთი, გარდა ამისა, საკასო საბრუნავი სახსრები 1982 წლის 1 იანვრისათვის 68.000 ათასი მანეთის ოდენობით.

**მუხლი 2.** დაწესდეს საქართველოს სსრ 1981 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან — ბრუნვის გადასახადი, საწარმოო ფონდების საფასური, მოგე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის თავისუფალი ნაშთი, მოგების ანარიცხები, საშემოსავლო გადასახადი და სხვა შემოსავალი სოციალისტური მეურნეობიდან — სულ 1.997.014 ათასი მანეთის ოდენობით.

**მუხლი 3.** დაწესდეს საქართველოს სსრ 1981 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გასავალი სახალხო მეურნეობის დასაფინანსებლად — სამშენებლო ინდუსტრიის, მსუბუქი და კვების მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების შემდგომი განვითარებისათვის — სულ 854.941 ათასი მანეთის ოდენობით.

**მუხლი 4.** დაწესდეს საქართველოს სსრ 1981 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნებანი სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის — ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, ბიბლიოთეკების, კლუბების, თეატრების, ბეჭდვითი სიტყვის, ტელევიზიის, რადიომაუწყებლობის, განათლებისა და კულტურის სხვა ღონისძიებებისათვის; საავადმყოფოების, საბავშვო ბაგების, სანატორიუმებისა და ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური კულტურის სხვა დაწესებულებებისათვის; პენსიებისა და დახმარებისათვის — სულ 1.217.436 ათასი მანეთის ოდენობით, აქედან სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტით 270.000 ათასი მანეთი.

**მუხლი 5.** დაწესდეს საქართველოს სსრ 1981 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნებანი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, სახელმწიფო მმართველობის ორგანოების, სასამართლო ორგანოების შესანახად 36.875 ათასი მანეთის ოდენობით.

**მუხლი 6.** დამტკიცდეს საქართველოს სსრ 1981 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი შემოსავლის ნაწილში 2.070.532 ათასი მანეთი და გასავლის ნაწილში 1.561.668 ათასი მანეთი, ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებსა და ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივ ბიუჯეტებში საქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გადასაცემი სახსრები 508.864 ათასი მანეთი, გარდა ამისა, საკასო საბრუნავი სახსრები 1982 წლის 1 იანვრისათვის 36.633 ათასი მანეთი.

**მუხლი 7.** დაწესდეს საქართველოს სსრ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტები და ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი ბიუჯეტები 1981 წლისათვის შემდეგი თანხებით:

პარლამენტის ბიბლიოთეკა

(ათას მანეთობით)

| | შემოსავალი | მათ შორის: ანარიცხები სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან | გასავალი | საკასო საბრუნავი სახსრები 1982 წლის 1 იანვრისათვის |
|---|---|---|---|---|
| 1. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა . . | 77.270,8 | 53.867,2 | 77.270,8 | 3,831 |
| 2. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა . . . | 53.787,7 | 40.638,5 | 53.787,7 | 2,670 |
| 3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი . . . . . . . . . . | 24.263,2 | 21.094,5 | 24.263,2 | 1,199 |
| 4. ქალაქი თბილისი . . . . . . . | 177.645,9 | 101.034,5 | 177.645,9 | 5,319 |
| 5. ქალაქი ქუთაისი . . . . . . | 30.160,3 | 17.470,3 | 30.160,3 | 1,500 |
| 6. ქალაქი ფოთი . . . . . . . | 6.363,7 | 4.151,1 | 6.363,7 | 308 |
| 7. ქალაქი ჭიათურა . . . . . . | 9.261,5 | 7.769,2 | 9.261,5 | 461 |
| 8. ქალაქი რუსთავი . . . . . . | 18.032,0 | 13.301,8 | 18.032,0 | 875 |
| 9. ქალაქი გორი . . . . . . . | 7.536,7 | 4.658,4 | 7.536,7 | 359 |
| 10. ქალაქი ტყიბული . . . . . . | 5.649,2 | 4.922,8 | 5.649,2 | 281 |
| 11. ქალაქი ზუგდიდი . . . . . . . | 7.179,0 | 5.266,1 | 7.179,0 | 356 |
| 12. ქალაქი წყალტუბო . . . . . | 6.634,5 | 3.320,5 | 6.634,5 | 329 |
| 13. აბაშის რაიონი . . . . . . | 3.977,5 | 3.337,9 | 3.977,5 | 197 |
| 14. ადიგენის რაიონი . . . . . . | 3.461,7 | 3.152,3 | 3.461,7 | 171 |
| 15. ამბროლაურის რაიონი . . . . | 3.609,1 | 2.986,6 | 3.609,1 | 179 |
| 16. ასპინძის რაიონი . . . . . . | 2.663,1 | 2.419,3 | 2.663,1 | 132 |
| 17. ახალქალაქის რაიონი . . . . | 7.540,7 | 6.582,2 | 7.540,7 | 376 |
| 18. ახალციხის რაიონი . . . . . | 6.845,7 | 6.029,8 | 6.845,7 | 340 |
| 19. ახმეტის რაიონი . . . . . . | 5.338,0 | 3.704,8 | 5.338,0 | 265 |
| 20. ბოგდანოვკის რაიონი . . . . | 5.051,9 | 4.620,4 | 5.051,9 | 251 |
| 21. ბოლნისის რაიონი . . . . . | 6.804,0 | 5.232.8 | 6.804,0 | 339 |
| 22. ბორჯომის რაიონი . . . . | 4.939,6 | 3.901,3 | 4.939,6 | 245 |
| 23. გარდაბნის რაიონი . . . . . . | 9.214,5 | 7.577,1 | 9.214,5 | 457 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | შემოსავალი | მათ შორის: ანარიცხები სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან | გასავალი | საკუთარი საბრუნავი სახსრები 1982 წლის 1 იანვრისათვის |
|---|---|---|---|---|
| 24. გეგეჭკორის რაიონი . . . . . | 6.173,0 | 5.176,0 | 6.173,0 | 307 |
| 25. გორის რაიონი . . . . . . . | 7.423,3 | 6.381,9 | 7.423,3 | 369 |
| 26. გურჯაანის რაიონი . . . . . | 7.142,8 | 5.126,0 | 7.142,8 | 355 |
| 27. დმანისის რაიონი . . . . . . | 5.381,0 | 4.644,8 | 5.381,0 | 267 |
| 28. დუშეთის რაიონი . . . . . | 5.430,2 | 4.407,6 | 5.430,2 | 266 |
| 29. ვანის რაიონი . . . . . . . | 4.538,0 | 3.950,3 | 4.538,0 | 226 |
| 30. ზესტაფონის რაიონი . . . . . | 7.869,4 | 6.068,3 | 7.869,4 | 392 |
| 31. ზუგდიდის რაიონი . . . . . | 7.796,4 | 6.902,7 | 7.796,4 | 387 |
| 32. თეთრი წყაროს რაიონი . . . . | 4.587,1 | 3.618,4 | 4.587,1 | 227 |
| 33. თელავის რაიონი . . . . . . | 8.679,7 | 7.649,1 | 8.679,7 | 432 |
| 34. თერჯოლის რაიონი . . . . . | 4.971,6 | 3.698,8 | 4.971,6 | 248 |
| 35. თიანეთის რაიონი . . . . . . | 3.427,2 | 3.009,0 | 3.427,2 | 169 |
| 36. კასპის რაიონი . . . . . . . | 5.501,1 | 4.542,6 | 5.501,1 | 272 |
| 37. ლაგოდეხის რაიონი . . . . . | 6.063,0 | 5.045,2 | 6.063,0 | 301 |
| 38. ლანჩხუთის რაიონი . . . . . | 5.159,6 | 4.284,2 | 5.159,6 | 256 |
| 39. ლენტეხის რაიონი . . . . . . | 3.227,5 | 2.972,3 | 3.227,5 | 160 |
| 40. მაიაკოვსკის რაიონი . . . . . | 4.127,0 | 2.710,3 | 4.127,0 | 204 |
| 41. მარნეულის რაიონი . . . . . | 9.674,6 | 7.510,5 | 9.674,6 | 482 |
| 42. მახარაძის რაიონი . . . . . . | 10.147,4 | 8.497,5 | 10.147,4 | 504 |
| 43. მესტიის რაიონი . . . . . . | 4.330,6 | 4.003,3 | 4.330,6 | 214 |
| 44. მცხეთის რაიონი . . . . . . | 5.933,8 | 4.751,0 | 5.933,8 | 293 |
| 45. ონის რაიონი . . . . . . . | 2.965,6 | 2.586,2 | 2.965,6 | 148 |
| 46. ორჯონიკიძის რაიონი . . . . | 4.432,6 | 3.873,6 | 4.432,6 | 218 |
| 47. საგარეჯოს რაიონი . . . . . | 5.317,3 | 4.086,6 | 5.317,3 | 265 |
| 48. სამტრედიის რაიონი . . . . . | 6.560,5 | 5.123,3 | 6.560,5 | 327 |
| 49. საჩხერის რაიონი . . . . . . | 5.189,6 | 4.056,4 | 5.189,6 | 258 |
| 50. სიღნაღის რაიონი . . . . . . | 5.647,2 | 4.491,4 | 5.647,2 | 280 |

ეროვნული
ბიბლიოთეკა

| | შემოსავალი | მათ შორის: ანარიცხები სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან | გასავალი | საქასო საბრუნავო სახსრები 1982 წლის 1 იანვრისათვის |
|---|---|---|---|---|
| 51. ქარელის რაიონი . . . . . . | 5.276,0 | 4.445,3 | 5.276,0 | 262 |
| 52. ყაზბეგის რაიონი . . . . . . | 1.983,6 | 1.747,8 | 1.983,6 | 98 |
| 53. ყვარლის რაიონი . . . . . . | 4.967,1 | 4.090,9 | 4.967,1 | 248 |
| 54. ჩოხატაურის რაიონი . . . . . | 4.425,8 | 3.902,0 | 4.425,8 | 219 |
| 55. ჩხოროწყუს რაიონი . . . . . | 4.973,7 | 4.223,0 | 4.973,7 | 247 |
| 56. ცაგერის რაიონი . . . . . . | 3.388,6 | 2.991,8 | 3.388,6 | 168 |
| 57. ცხაკაიას რაიონი . . . . . . | 6.042,9 | 4.967,9 | 6.042,9 | 301 |
| 58. წალენჯიხის რაიონი . . . . . | 5.749,9 | 4.990,3 | 5.749,9 | 285 |
| 59. წალკის რაიონი . . . . . . | 6.103,6 | 5.451,2 | 6.103,6 | 304 |
| 60. წითელწყაროს რაიონი . . . . | 4.682,8 | 3.892,5 | 4.682,8 | 232 |
| 61. წულუკიძის რაიონი . . . . . | 4.682,2 | 3.848,8 | 4.682,2 | 234 |
| 62. ხაშურის რაიონი . . . . . . | 5.667,8 | 4.466,4 | 5.667,8 | 281 |
| 63. ხობის რაიონი . . . . . . | 4.438,6 | 3,639,4 | 4.438,6 | 221 |
| ს უ ლ . . . . . . . . . | 703.310,0 | 508.864,0 | 703.310,0 | 31,367 |

**მუხლი 8.** დამტკიცდეს 1981 წლისათვის საერთო-საკავშირო სახელმწიფო გადასახადებისა და შემოსავლების ანარიცხები საქართველოს სსრ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებში და ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივ ბიუჯეტებში შემდეგი ოდენობით:

ა) სატყეო შემოსავლიდან, კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადიდან, სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან და სსრ კავშირის უცოლო, უქმრო, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადიდან — 100 პროცენტი;

ბ) ფულისა და ნივთების ლატარიების შემოსავლიდან — 100 პროცენტი;

გ) სახელმწიფო საპროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის გავრცელების თანხიდან, მოსახლეობის ნაგებობების, საოჯახო, ქონების, ტრანსპორტის საშუალებებისა და ცხოველების ნებაყოფლობითი დაზღვევის, აგრეთვე უბედური შემთხვევებისაგან მოქალაქეთა დაზღვევის გადასახადელებიდან—50 პროცენტი;

დ) მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან და ბრუნვის გადასახადიდან შემოსული თანხებიდან:

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | ანარიცხების პროცენტები | |
|---|---|---|
| | მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან | ბრუნვის გადასახადიდან |
| 1. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 40 | 45,7 |
| 2. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 50 | 59,9 |
| 3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი . . . . . . . . | 90 | 80,8 |
| 4. ქალაქი თბილისი . . . . . . . . . . . . | 15 | 6,8 |
| 5. ქალაქი ქუთაისი . . . . . . . . . . . . | 45 | 5,0 |
| 6. ქალაქი ფოთი . . . . . . . . . . . . | 50 | 52,9 |
| 7. ქალაქი ჭიათურა . . . . . . . . . . . . | 50 | 32,7 |
| 8. ქალაქი რუსთავი . . . . . . . . . . . . | 53 | 75,4 |
| 9. ქალაქი გორი . . . . . . . . . . . . | 50 | 63,6 |
| 10. ქალაქი ტყიბული . . . . . . . . . . . . | 50 | 68,1 |
| 11. ქალაქი ზუგდიდი . . . . . . . . . . . . | 51 | 50,7 |
| 12. ქალაქი წყალტუბო . . . . . . . . . . . . | 20 | 11,7 |
| 13. აბაშის რაიონი . . . . . . . . . . . . | 50 | 25,8 |
| 14. ადიგენის რაიონი . . . . . . . . . . . . | 90 | 96,2 |
| 15. ამბროლაურის რაიონი . . . . . . . . . . | 63 | 26,4 |
| 16. ასპინძის რაიონი . . . . . . . . . . . . | 100 | 85,4 |
| 17. ახალქალაქის რაიონი . . . . . . . . . . . | 50 | 22,9 |
| 18. ახალციხის რაიონი . . . . . . . . . . . | 50 | 30,3 |
| 19. ახმეტის რაიონი . . . . . . . . . . . . | 79 | 28,0 |
| 20. ბოგდანოვკის რაიონი . . . . . . . . . . | 50 | 27,5 |
| 21. ბოლნისის რაიონი . . . . . . . . . . . . | 50 | 97,4 |
| 22. ბორჯომის რაიონი . . . . . . . . . . . | 50 | 10,0 |
| 23. გარდაბნის რაიონი . . . . . . . . . . . | 44 | 11,4 |
| 24. გეგეჭკორის რაიონი . . . . . . . . . . | 50 | 41,4 |
| 25. გორის რაიონი . . . . . . . . . . . . | 45 | 7,7 |
| 26. გურჯაანის რაიონი . . . . . . . . . . . | 27 | 16,9 |
| 27. დმანისის რაიონი . . . . . . . . . . . | 54 | 66,1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | ანარიცხების პროცენტები | |
|---|---|---|
| | მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადი-დან | ზრუნვის გა-დასახადიდან |
| 28. დუშეთის რაიონი | 60 | 74,9 |
| 29. ვანის რაიონი | 50 | 47,1 |
| 30. ზესტაფონის რაიონი | 54 | 14,0 |
| 31. ზუგდიდის რაიონი | 51 | 89,7 |
| 32. თეთრი წყაროს რაიონი | 50 | 85,9 |
| 33. თელავის რაიონი | 52 | 19,2 |
| 34. თერჯოლის რაიონი | 50 | 13,8 |
| 35. თიანეთის რაიონი | 96 | 20,8 |
| 36. კასპის რაიონი | 51 | 10,4 |
| 37. ლაგოდეხის რაიონი | 50 | 8,7 |
| 38. ლანჩხუთის რაიონი | 50 | 15,3 |
| 39. ლენტეხის რაიონი | 71 | 93,3 |
| 40. მაიაკოვსკის რაიონი | 50 | 42,2 |
| 41. მარნეულის რაიონი | 40 | 12,7 |
| 42. მახარაძის რაიონი | 40 | 27,8 |
| 43. მესტიის რაიონი | 69 | 73,3 |
| 44. მცხეთის რაიონი | 40 | 19,0 |
| 45. ონის რაიონი | 100 | 89,6 |
| 46. ორჯონიკიძის რაიონი | 50 | 88,0 |
| 47. საგარეჯოს რაიონი | 39 | 7,6 |
| 48. სამტრედიის რაიონი | 34 | 18,9 |
| 49. საჩხერის რაიონი | 50 | 39,8 |
| 50. სიღნაღის რაიონი | 50 | 8,7 |
| 51. ქარელის რაიონი | 50 | 34,1 |
| 52. ყაზბეგის რაიონი | 90 | 44,0 |
| 53. ყვარლის რაიონი | 46 | 39,3 |
| 54. ჩოხატაურის რაიონი | 50 | 21,4 |

| | ანარიცხების პროცენტები | |
|---|---|---|
| | მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან | ბრუნვის გადასახადიდან |
| 55. ჩხოროწყუს რაიონი . . . . . . . . . . . . . . . . | 50 | 83,7 |
| 56. ცაგერის რაიონი . . . . . . . . . . . . . . . . | 100 | 97,1 |
| 57. ცხაკაიას რაიონი . . . . . . . . . . . . . . . . | 36 | 2,4 |
| 58. წალენჯიხის რაიონი . . . . . . . . . . . . . . . | 50 | 11,2 |
| 59. წალკის რაიონი . . . . . . . . . . . . . . . . | 52 | 72,8 |
| 60. წითელწყაროს რაიონი . . . . . . . . . . . . . . | 50 | 69,6 |
| 61. წულუკიძის რაიონი . . . . . . . . . . . . . . . | 50 | 33 |
| 62. ხაშურის რაიონი . . . . . . . . . . . . . . . . | 19 | 3,5 |
| 63. ხობის რაიონი . . . . . . . . . . . . . . . . . | 50 | 54,7 |

**მუხლი 9.** გადაეცეს სოფლის რაიონების ბიუჯეტებს (შემდგომში სახალხო დეპუტატების სადაბო და სასოფლო საბჭოების ბიუჯეტებზე გადასაცემად) საქართველოს სს რესპუბლიკურ ბიუჯეტში შემოსული ბრუნვის გადასახადის ნაწილი, გამოანგარიშებული სამომხმარებლო კოოპერაციის საცალო საქონელბრუნვასთან პროცენტებში, შემდეგი ოდენობით:

| | | | |
|---|---|---|---|
| სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი | 30 | თეთრი წყაროს რაიონი . . . . . . | 11 |
| ქალაქი ჭიათურა . . . . . . . . | 35 | თელავის რაიონი . . . . . . . . | 10 |
| ქალაქი ტყიბული . . . . . . . . | 23 | თერჯოლის რაიონი . . . . . . . | 10 |
| ქალაქი წყალტუბო . . . . . . . . | 4 | თიანეთის რაიონი . . . . . . . | 26 |
| აბაშის რაიონი . . . . . . . . | 19 | კასპის რაიონი . . . . . . . . | 8 |
| ადიგენის რაიონი . . . . . . . . | 29 | ლაგოდეხის რაიონი . . . . . . . | 10 |
| ამბროლაურის რაიონი . . . . . . . | 16 | ლანჩხუთის რაიონი . . . . . . . | 9 |
| ასპინძის რაიონი . . . . . . . . | 31 | ლენტეხის რაიონი . . . . . . . | 46 |
| ახალქალაქის რაიონი . . . . . . . | 13 | მაიაკოვსკის რაიონი . . . . . . | 10 |
| ახალციხის რაიონი . . . . . . . . | 22 | მარნეულის რაიონი . . . . . . . | 5 |
| ახმეტის რაიონი . . . . . . . . | 9 | მახარაძის რაიონი . . . . . . . | 6 |
| ბოგდანოვკის რაიონი . . . . . . . | 15 | მესტიის რაიონი . . . . . . . . | 39 |
| ბოლნისის რაიონი . . . . . . . . | 10 | მცხეთის რაიონი . . . . . . . . | 8 |
| ბორჯომის რაიონი . . . . . . . . | 13 | ონის რაიონი . . . . . . . . . | 17 |
| გარდაბნის რაიონი . . . . . . . . | 7 | ორჯონიკიძის რაიონი . . . . . . | 23 |
| გეგეჭკორის რაიონი . . . . . . . | 14 | საგარეჯოს რაიონი . . . . . . . | 8 |
| გორის რაიონი . . . . . . . . . | 9 | სამტრედიის რაიონი . . . . . . . | 5 |
| გურჯაანის რაიონი . . . . . . . . | 4 | საჩხერის რაიონი . . . . . . . . | 13 |
| დმანისის რაიონი . . . . . . . . | 24 | სიღნაღის რაიონი . . . . . . . . | 16 |
| დუშეთის რაიონი . . . . . . . . | 13 | ქარელის რაიონი . . . . . . . . | 15 |
| ვანის რაიონი . . . . . . . . . | 16 | ყაზბეგის რაიონი . . . . . . . . | 29 |
| ზესტაფონის რაიონი . . . . . . . | 10 | ყვარლის რაიონი . . . . . . . . | 13 |
| ზუგდიდის რაიონი . . . . . . . . | 12 | ჩოხატაურის რაიონი . . . . . . . | 15 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | |
|---|---|
| ჩხოროწყუს რაიონი | 17 |
| ცაგერის რაიონი | 21 |
| ცხაკაიას რაიონი | 7 |
| წალენჯიხის რაიონი | 15 |
| წალკის რაიონი | 20 |
| წითელწყაროს რაიონი | 8 |
| წულუკიძის რაიონი | 14 |
| ხაშურის რაიონი | 4 |
| ხობის რაიონი | 12 |

მუხლი 10. დამტკიცდეს ანარიცხები 1981 წლისათვის ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებში და ადგილობრივ ბიუჯეტებში საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის, ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის, ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროების საწარმოების მოგების თავისუფალი ნაშთიდან პროცენტებში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ „საქართველოს სსრ 1981 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ 1980 წლის 5 ნოემბრის № 801 დადგენილებით მიღებული ოდენობით.

მუხლი 11. 1981 წლიდან ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებში და ადგილობრივ ბიუჯეტებში გადაეცეს გაერთიანებების, საწარმოების და სამეურნეო ორგანიზაციების ფილიალების (რომლებიც არ იმყოფებიან დამოუკიდებელ ბალანსზე) მოგების ზეგეგმური თავისუფალი ნაშთის ნაწილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაადგინოს აღნიშნული გადასახდელების გადაცემის წესი.

მუხლი 12. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილოს საქართველოს სსრ 1981 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ წინადადებანი და შენიშვნები, რომლებიც ჩამოყალიბებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და დარგობრივი კომისიების დასკვნებში, აგრეთვე წინადადებანი და შენიშვნები, რომლებიც დეპუტატებმა გამოთქვეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომებზე, და მიიღოს მათ გამო შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1980 წლის 12 ნოემბერი.

## კ ა ნ ო ნ ი

## საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

## 328 საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ადვოკატურის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. დამტკიცდეს დებულება საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ადვოკატურის შესახებ (იხ. უწყების დანართი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს საქართველოს სსრ კანონმდებლობა შეუსაბამოს ამ დებულებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ო. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 12 ნოემბერი.

## კ ა ნ ო ნ ი

### საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

### 329 საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

1980 წლის 31 მარტისა — „საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის 32-ე მუხლში ცვლილების შეტანის შესახებ“;

1980 წლის 10 აპრილისა — „საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“;

1980 წლის 15 აპრილისა — „საქართველოს სსრ წიაღის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“;

1980 წლის 21 აპრილისა — „საქართველოს სსრ ტყის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“;

1980 წლის 21 მაისისა — „სოციალისტური საკუთრებისა და მოქალაქეთა პირადი საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“;

1980 წლის 28 მაისისა — „საქართველოს სსრ მიწის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“;

1980 წლის 28 მაისისა — „საქართველოს სსრ წყლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“;

1980 წლის 18 ივლისისა — „ადამიანთა ჯანმრთელობისათვის ან ზღვის ცოცხალი რესურსებისათვის მავნე ნივთიერებებით ანდა სხვა ნარჩენებითა და მასალებით ზღვის გაჭუჭყიანების გამო პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“;

1980 წლის 29 ივლისისა — „საქართველოს სსრ კანონთა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებათა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა და დადგენილებათა გამოქვეყნებისა და ძალაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესვლის წესის შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე";

1980 წლის 29 ივლისისა — „საქართველოს სსრ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ";

1980 წლის 4 ოქტომბრისა — „საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 12 ნოემბერი.

## კ ა ნ ო ნ ი

## საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

**330 საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საქალაქო, რაიონული ორგანოების გამასწორებელი სამუშაოებისა და შრომითი მოწყობის ინსპექციების საზოგადოებრივი ინსპექტორების დებულებისა და საქართველოს სს რესპუბლიკაში წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტების დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

1980 წლის 7 აგვისტოსი — „საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საქალაქო, რაიონული ორგანოების გამასწორებელი სამუშაოებისა და შრომითი მოწყობის ინსპექციების საზოგადოებრივი ინსპექტორების დებულების დამტკიცების შესახებ";

1980 წლის 16 სექტემბრისა — „საქართველოს სს რესპუბლიკაში წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტების დებულების დამტკიცების შესახებ".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 12 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დადგენილება

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

**331 სამანდატო კომისიის მოხსენების გამო**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, რომელმაც მოისმინა სამანდატო კომისიის მოხსენება, **ადგენს:**

ცნობილ იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ლონგინოზ ლევანის ძე ზაქაიძის უფლებამოსილება, რომელიც 1980 წლის 20 ივლისს არჩეულია დმანისის რაიონის ამამლოს № 153 საარჩევნო ოლქში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 12 ნოემბერი.

## დადგენილება

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

**332 საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. მიღებულ იქნეს ცნობად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მოხსენება საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

2. აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ახორციელებს საჭირო ღონისძიებებს საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980 წლის სახელმწიფო გეგმის შესასრულებლად.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა კომისიების წინადადებები და შენიშვნები, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომებზე დეპუტატთა მიერ გამოთქმული წინადადებები და შენიშვნები საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ და სკკპ ცენტრალუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი კომიტეტის 1980 წლის ოქტომბრის პლენუმისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებით ხელმძღვანელობის საფუძველზე განახორციელოს ღონისძიებები 1980 წლის, მთლიანად მეათე ხუთწლედისა და 1981 წლის საგეგმო დავალებათა წარმატებით შესასრულებლად.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1980 წლის 12 ნოემბერი.

## დადგენილება

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

### 333 საქართველოს სსრ 1979 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ 1979 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შემოსავლის ნაწილში 2.384.264 ათასი მანეთისა და გასავლის ნაწილში 2.314.243 ათასი მანეთის ოდენობით, გასავალზე შემოსავლის 70.021 ათასი მანეთის გადამეტებით.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1980 წლის 12 ნოემბერი.

## დადგენილება

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

### 334 „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ" საქართველოს სსრ კანონის სამოქმედოდ შემოღების წესის თაობაზე

„სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ" საქართველოს სსრ კანონის მიღებასთან დაკავშირებით საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს შეუსაბამოს საქართველოს სსრ კანონმდებლობა საქართველოს სსრ კანონს „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ“ (იხ. უწყების დანართი).

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებანი შეუსაბამოს აღნიშნულ კანონს.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 12 ნოემბერი.

## დადგენილება

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

**335** **სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის 2 აგვისტოს დადგენილების შესაბამისად რესპუბლიკის სატრანსპორტო ორგანიზაციებში დისციპლინისა და სოციალისტური კანონიერების დაცვის მდგომარეობის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისიის მოხსენების შესახებ**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნეს ცნობად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისიის მოხსენება „მართლწესრიგის დაცვისათვის მუშაობის გაუმჯობესებისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის 2 აგვისტოს დადგენილების შესაბამისად რესპუბლიკის სატრანსპორტო ორგანიზაციებში დისციპლინისა და სოციალისტური კანონიერების დაცვის მდგომარეობის თაობაზე.

2. დაევალოთ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს, სამოქალაქო ავიაციის საქართველოს სამმართველოს, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს, რესპუბლიკის სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებს მიიღონ საჭირო ზომები რესპუბლიკის სატრანსპორტო ორგანიზაციებში დისციპლინისა და სოციალისტური კანონიერების განსამტკიცებლად, ყველა სახეობის ტრანსპორტის მუშაობის ხარისხისა და ეფექტიანობის ასამაღლებლად, აღრიცხვისა და ანგარიშგების საქმეში სახელმწიფო წესრიგის დასაცავად, ტრანსპორტზე მიწერებთან, თვალისახვევასა, უყაირათობასა და სათბობ-ენერგეტიკული მასალებისა და სახელმწიფო სახსრების განიავებასთან ბრძოლის გასაძლიერებლად.

3. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისიას თავის საქმიანობაში განუხრელად იხელმძღვანე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებით, სსრ კავშირის კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის მოთხოვნებით, საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებით, აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებით და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის 2 აგვისტოს დადგენილებით; გააძლიეროს კონტროლი რესპუბლიკური და ადგილობრივი სატრანსპორტო ორგანიზაციების საქმიანობისადმი ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სისტემაში სოციალისტური კანონიერების დაცვის ამოცანათა განუხრელად შესრულების უზრუნველსაყოფად; პერიოდულად შეისწავლოს სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის სატრანსპორტო მომსახურების მდგომარეობის საკითხები და მკაცრი კონტროლი დააწესოს მიღებულ რეკომენდაციათა შესრულების მიმდინარეობაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. გილაშვილი.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1980 წლის 12 ნოემბერი.

## დადგენილება

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

### 336 ამხ. გ. ლ. ქობლიანიძის საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრად დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 14 მაისის ბრძანებულება „ამხ. გურამ ლევანის ძე ქობლიანიძის საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრად დანიშვნის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. გილაშვილი.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1980 წლის 12 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დადგენილება

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

**337** საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის დამტკიცების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 19 მაისის ბრძანებულება „საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 12 ნოემბერი.

## დადგენილება

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

**338** საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. ამხ. ზურაბ აკაკის ძე ლაბახუა — საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი დამტკიცდეს საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის წევრად.

2. ამხ. ენვერ ერასტის ძე კაპბა გამოყვანილ იქნეს საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის შემადგენლობიდან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 12 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

**339** **დეპუტატ ლ. ლ. ზაქაიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სოფლის მეურნეობის კომისიის წევრად არჩევის შესახებ**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ლონგინოზ ლევანის ძე ზაქაიძე არჩეულ იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სოფლის მეურნეობის კომისიის წევრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 12 ნოემბერი.

# განყოფილება მეორე

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**340** **საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველობის ავტობაზის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ**

საავტომობილო ტრანსპორტზე ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, საავტომობილო ტრანსპორტის მუშაკის დღესთან დაკავშირებით მიენიჭოთ საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკი“:**

**ბოლაშვილს** ივანე ილიას ძეს — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველობის ავტობაზის მძღოლს.

**თვალიაშვილს** ალექსანდრე გიორგის ძეს — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველობის ავტობაზის მძღოლს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 6 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 341 საქართველოს სსრ გეოლოგიის სამმართველოს მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

საქართველოს ტერიტორიის გეოლოგიური აგებულების შესწავლის, რესპუბლიკის სამთამადნო მრეწველობის მინერალური ნედლეულის ბაზის განვითარების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, საქართველოს სსრ გეოლოგიის სამმართველოს დაარსების 50-ე წლისთავთან დაკავშირებით მიენიჭოთ საპატიო წოდება:

### „საქართველოს სსრ დამსახურებული გეოლოგი"

**ბასილაძეს** გენადი სილვესტრის ძეს — გეოფიზიკური ექსპედიციის უფროს გეოლოგს.

**ბახტაძეს** გრიგოლ გრიგოლის ძეს — საქართველოს ცენტრალური კომპლექსური გეოლოგიური ექსპედიციის უფროს გეოლოგს.

**გავაშელს** შოთა მიხეილის ძეს — სახელმწიფო გეოლოგიური კონტროლის განყოფილების უფროსის მოადგილეს.

**გეიბანოვას** როზა ნიკოლოზის ასულს — გეოლოგიურ-თემატიკური ექსპედიციის უფროს გეოლოგს.

**გოგუაძეს** ბორის სერაპიონის ძეს — საქართველოს ცენტრალური კომპლექსური გეოლოგიური ექსპედიციის თერჯოლის გეოლოგიურ-საძიებო პარტიის უფროსს.

**დონდუას** თეიმურაზ ვასილის ძეს — საქართველოს ცენტრალური კომპლექსური გეოლოგიური ექსპედიციის უფროს გეოლოგს.

**კანდაუროვს** სერგი ნიკოლოზის ძეს — გეოლოგიურ-თემატიკური ექსპედიციის მათემატიკური მეთოდების პარტიის მთავარ გეოლოგს.

**ტოროზოვს** რობერტ იოსების ძეს — გეოლოგიურ-თემატიკური ექსპედიციის აეროფოტომეთოდების თემატიკური პარტიის უფროსს.

**ჩაგარიძეს** თამარ ილიას ასულს — საქართველოს ცენტრალური კომპლექსური გეოლოგიური ექსპედიციის უფროს გეოლოგს (ამჟამად პენსიონერს).

**ჯანგიძეს** თამარ მიხეილის ასულს — მცირე კავკასიის კომპლექსური გეოლოგიური ექსპედიციის უფროს გეოლოგს.

### „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი"

**ბასილაშვილს** გენადი ნოშრევანის ძეს — სამმართველოს საწარმოო განყოფილების უფროს ინჟინერს.

**გოირგაძეს** ოთარ ალექსანდრეს ძეს — სამმართველოს საწარმოო განყოფილების უფროსს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკი“

**აბრამიშვილს** ვაჟა პეტრეს ძეს — საქართველოს ცენტრალური კომპლექსური გეოლოგიური ექსპედიციის საბურღი სამუშაოების უბნის უფროსს.

**ანთიძეს** სერგო პეტრეს ძეს — საქართველოს ცენტრალური კომპლექსური გეოლოგიური ექსპედიციის უფროს ბურღვის ოსტატს.

**დემურაშვილს** გიგო ივანეს ძეს — მცირე კავკასიის კომპლექსური გეოლოგიური ექსპედიციის მბურღავს.

**პიჟოვს** ალექსი ვასილის ძეს — ჩრდილო-დასავლეთის კომპლექსური გეოლოგიური ექსპედიციის უფროს ბურღვის ოსტატს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 13 ნოემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 342 საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკებისათვის საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საავტომობილო ტრანსპორტზე ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, საავტომობილო ტრანსპორტის მუშაკის დღესთან დაკავშირებით საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკი“** მიენიჭოთ:

**ვარძელაშვილს** ვლადიმერ დავითის ძეს — გორის მეორე სატვირთო ავტოსატრანსპორტო გაერთიანების მძღოლს.

**გაგლოევს** გაბრიელ ილიას ძეს — ცხინვალის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლს.

**კაკაშვილს** ივანე დავითის ძეს — საქართველოს ავტოტრანსპორტისა და გზატკეცილების მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის **26** ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 343 საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკებისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საავტომობილო ტრანსპორტზე ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, საავტომობილო ტრანსპორტის მუშაკის დღესთან დაკავშირებით საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“** მიენიჭოთ:

**ბარგს გრიგოლ** იოსების ძეს — რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „გრუზმექავტოტრანსის“ გენერალურ დირექტორს.

**ზალდასტანიშვილს** გივი ლევანის ძეს — რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქავტორემონტის“ გენერალური დირექტორის პირველ მოადგილეს.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის** თავმჯდომარე **პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის** მდივანი **თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1980 წლის 26 ნოემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 344 საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საწარმოთა მუშაკებისათვის საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ავტოტრანსპორტის სისტემაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, საავტომობილო ტრანსპორტის მუშაკის დღესთან დაკავშირებით საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“** მიენიჭოთ:

**ლაცაბიძეს** ანზორ ვასილის ძეს — რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქავტორემონტის“ სათავო საწარმოს ზეინკალს.

**მიკირტუმოვს** მაკარ კარაპეტის ძეს — მარნეულის სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს ავტოშემკეთებელს.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის** თავმჯდომარე **პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის** მდივანი **თ. ლაშქარაშვილი.**

**თბილისი, 1980** წლის 26 **ნოემბერი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 345 ამხ. ს. ბ. კაპუტიკიანისათვის საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სომხურ და ქართულ ლიტერატურათა ურთიერთობის განმტკიცება-გაღრმავებაში გაწეული ღვაწლისათვის ამხ. სილვა ბარუნაქის ასულ კაპუტიკიანს მიენიჭოს საპატიო წოდება „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 26 ნოემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 346 ამხ. ე. გ. კეოსაიანისათვის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სომხეთისა და საქართველოს კინოხელოვნების მოღვაწეთა ურთიერთობის განმტკიცებაში გაწეული ღვაწლისათვის ამხ. ედმონდ გარეგინის ძე კეოსაიანს მიენიჭოს საპატიო წოდება „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 26 ნოემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 347 ამხ. მ. მ. მკრტჩიანისათვის საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საქართველოსა და სომხეთის თეატრალური ხელოვნებისა და კინოხელოვნების ურთიერთობის განმტკიცებაში გაწეული ღვაწლისათვის სომხეთის სსრ სახალხო არტისტს, სომხეთის გ. სუნდუკიანის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური თეატრის არტისტს მგერ მუშეღის ძე მკრტჩიანს მიენიჭოს საპატიო წოდება „საქართველოს სსრ სახალხო არტისტი“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 26 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 348 ამხ. ვ. ბ. ფანარჯიანისათვის საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სომხეთისა და საქართველოს მეცნიერთა შორის ურთიერთობის განმტკიცება-გაღრმავებაში გაწეული ღვაწლისათვის სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს ამხ. ვიქტორ ბართლომეს ძე **ფანარჯიანს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე“**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. **გილაშვილი.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. **ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1980 წლის 26 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 349 ამხ. ვ. ა. ხარიტონაშვილისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საავტომობილო ტრანსპორტზე ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, საავტომობილო ტრანსპორტის მუშაკის დღესთან დაკავშირებით თბილისის პირველი სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს უფროს ინჟინერ-ტექნოლოგს ვალერიან ადამის ძე **ხარიტონაშვილს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორი“**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. **გილაშვილი.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. **ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1980 წლის 26 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 350 ახალციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობის სპეციალისტების მოსამზადებლად გაწეული ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაარსების 50-ე წლისთავთან დაკავში-

პარლამენტის ბიბლიოთეკა

ებით ახალციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 6 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 351 გეგეჭკორის ა. მ. ჭოჭუას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობის სპეციალისტების მოსამზადებლად გაწეული ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაარსების 50-ე წლისთავთან დაკავშირებით გეგეჭკორის ა. მ. ჭოჭუას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 6 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 352 პოლონური ყინულბალეტის კოლექტივის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

1980 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ქ. თბილისში გასტროლების წარმატებით ჩატარებასთან დაკავშირებით პოლონური ყინულბალეტის კოლექტივი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 6 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 353 საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველობის ავტობაზის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საავტომობილო ტრანსპორტზე ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, საავტომობილო ტრანსპორტის მუშაკის დღესთან დაკავშირებით **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:**

**ბანძელაძე** ისიდორე პეტრეს ძე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველობის ავტობაზის მძღოლი.

**დავლაშერიძე** გიორგი ილიას ძე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველობის ავტობაზის მძღოლი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 6 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 354 თბილისის 26 კომისრის სახელობის წითელდროშოვანი მეთაურთა საარტილერიო უმაღლესი სასწავლებლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებისათვის ოფიცერ-არტილერისტთა მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების საქმეში წარმატებების, საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში მაღალი შედეგების მიღწევისათვის, მშრომელთა სამხედრო-პატრიოტულ აღზრდაში აქტიური მონაწილეობისათვის და მე-60 წლისთავთან დაკავშირებით **თბილისის 26 კომისრის სახელობის წითელდროშოვანი მეთაურთა საარტილერიო უმაღლესი სასწავლებელი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 11 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 355 საქართველოს სსრ გეოლოგიის სამმართველოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს ტერიტორიის გეოლოგიური აგებულების შესწავლის საქმეში მიღწეული წარმატებებისათვის, რესპუბლიკის სამთამადნო მრეწველობის მინერალური ნედლეულის ბაზის განმტკიცებისა და გაფართოებისათვის, დაარსების 50-ე წლისთავთან დაკავშირებით **საქართველოს სსრ გეოლოგიის სამმართველო** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 11 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 356 წნორის ზოოვეტერინარული ტექნიკუმის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მეცხოველეობის სპეციალისტების მოსამზადებლად გაწეული ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაარსების 50-ე წლისთავთან დაკავშირებით **წნორის ზოოვეტერინარული ტექნიკუმი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 11 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 357 ზესტაფონის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობის სპეციალისტების მოსამზადებლად გაწეული ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაარსების 50-ე წლისთავთან დაკავშირე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით **ზესტაფონის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 11 ნოემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 358 თბილისის 26 კომისრის სახელობის წითელდროშოვანი მეთაურთა საარტილერიო უმაღლესი სასწავლებლის სამეთაურო-პოლიტიკური და პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის წარმომადგენელთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებისათვის ოფიცერ-არტილერისტთა მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების საქმეში წარმატებებისათვის, მშრომელთა სამხედრო-პატრიოტულ აღზრდაში აქტიური მონაწილეობისათვის, თბილისის 26 კომისრის სახელობის წითელდროშოვანი მეთაურთა საარტილერიო უმაღლესი სასწავლებლის მე-60 წლისთავთან დაკავშირებით **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ:

**ახრიევა** მერი ასატურის ასული — უცხო ენათა კათედრის გამგე.

**ბაბაევი** ამირ ჰუსეინის ძე — პოლკოვნიკი, კათედრის უფროსის მოადგილე.

**ბაიბურინი** რახილ ნურლიგაიანის ძე — პოლკოვნიკი, მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის უფროსი მასწავლებელი.

**გავრილოვ** ემელიანე ივანეს ძე — პოლკოვნიკი, სასწავლებლის პოლიტიკური განყოფილების უფროსი.

**ეფრემოვი** ალექსანდრე ივანეს ძე — პოლკოვნიკი, ტაქტიკის კათედრის უფროსი მასწავლებელი.

**ნიკოლაიშვილი** გურამ ანანიას ძე — პოლკოვნიკ-ინჟინერი, საარტილერიო შეიარაღების უფროსი მასწავლებელი.

**შუვალოვი** ვლადიმერ გრიგოლის ძე — არტილერიის გენერალ-მაიორი, სასწავლებლის უფროსი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 11 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**359** საქართველოს სსრ გეოლოგიის სამმართველოს მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს ტერიტორიის გეოლოგიური აგებულების შესწავლის, რესპუბლიკის სამთამადნო მრეწველობის მინერალური ნედლეულის ბაზის განვითარების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, საქართველოს სსრ გეოლოგიის სამმართველოს დაარსების 50-ე წლისთავთან დაკავშირებით **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ:

**აბესაძე** გურამ ნიკოლოზის ძე — ჩრდილო-დასავლეთის კომპლექსური გეოლოგიური ექსპედიციის უფროსი.

**ასლამაზოვა** სუსანა გრიგოლის ასული — საქართველოს ცენტრალური კომპლექსური გეოლოგიური ექსპედიციის უფროსი გეოლოგი.

**დოლიძე** ჯიბრაილ პროკოფის ძე — მთავარი გეოლოგი — სამმართველოს უფროსის მოადგილე.

**დოლიძე** რევაზ ეპიფანეს ძე — აღმოსავლეთ საქართველოს კომპლექსური გეოლოგიური ექსპედიციის საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსი.

**თოპაძე** მერი ვლადიმერის ასული — ცენტრალური კომპლექსური ლაბორატორიის ქიმიურ-ანალიზური ლაბორატორიის უფროსი ინჟინერი.

**კერესელიძე** გიორგი პორფილეს ძე — სამმართველოს გეოლოგიური ფონდების განყოფილების უფროსი.

**ტურაბელიძე** ავთანდილ გიორგის ძე — მცირე კავკასიის კომპლექსური გეოლოგიური ექსპედიციის ბურღვის ოსტატი.

**ქოქოსაძე** გრიგოლ მიხეილის ძე — ჩრდილო-დასავლეთის კომპლექსური გეოლოგიური ექსპედიციის მბურღავი.

**ყანჩაველი** ლევან სერგის ძე — ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური ექსპედიციის ბურღვის ოსტატი.

**ჭიპაშვილი** ფილიმონ ვლადიმერის ძე — აღმოსავლეთ საქართველოს კომპლექსური გეოლოგიური ექსპედიციის პარტიის უფროსი.

**ჭოხონელიძე** მიხეილ ილიას ძე — მცირე კავკასიის კომპლექსური გეოლოგიური ექსპედიციის უფროსი.

**ხარატიშვილი** ლევან ალექსის ძე — ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური ექსპედიციის უფროსი.

**ხუხია** ნოდარ ვალერიანის ძე — თერმულ წყლებზე ღრმა საძიებო ბურღვის ექსპედიციის უფროსი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



**ჯავახიშვილი** ზაურ ივანეს ძე — სამმართველოს საგეგმო-ეკონომიკური განყოფილების უფროსი — მთავარი ეკონომისტი.

**ჯიქიძე** გიორგი ნიკოლოზის ძე — ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური ექსპედიციის უფროსი ოსტატი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 13 ნოემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 360 საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საავტომობილო ტრანსპორტზე ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, საავტომობილო ტრანსპორტის მუშაკის დღესთან დაკავშირებით **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკები:

**არშბა** გიორგი გრიგოლის ძე — ტყვარჩელის სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლი.

**ასლანიანი** ნედრო ასლანის ძე — ბათუმის მსუბუქი ტაქსომოტორების ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლი.

**ბადაგაძე** გურამ იოსების ძე — მცხეთის ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლი.

**ბალათურია** რაჟდენ ტრიფონის ძე — ცხაკაიას სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლი.

**გოგიჩაიშვილი** მიხეილ მალაქიას ძე — ფოთის ავტოსატრნსპორტო საწარმოო გაერთიანების მთავარი ინჟინერი.

**გონტარევი** ვიქტორ მიხეილის ძე — თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების შრომისა და ხელფასის განყოფილების უფროსი.

**ერმოლოვი** ზურაბ ალექსანდრეს ძე — გუდაუთის ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლი.

**თოდრია** ნიკოლოზ ილიას ძე — რუსთავის მსუბუქი ტაქსომოტორების ავტოსატრანსპორტო საწარმოს დირექტორი.

**კობახიძე** გივი კონსტანტინეს ძე — თბილისის მეშვიდე სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლი.

**კობახიძე** ვასილ სერაპიონის ძე — ქუთაისის № 2657 ავტოკოლონის მძღოლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მანაგაძე** ანზორ ნიკოლოზის ძე — ქუთაისის მეოთხე სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლი.

**მიქელაძე** შოთა ანდრიას ძე — ზუგდიდის № 2676 ავტოკოლონის უფროსი.

**მუკმანიანი** მიხეილ ავთანდილის ძე — თელავის სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლი.

**მჭედლიშვილი** ნიკოლოზ ივანეს ძე — ბათუმის მეორე სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს ზეინკალი.

**პირუმოვი** ივანე ალექსანდრეს ძე — თბილისის № 1 სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლი.

**სიდამონიძე** ალექსანდრე ივანეს ძე — რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქავტორემონტის“ სათავო საწარმოს ზეინკალი.

**ჭუმბურიძე** რეზო გერასიმეს ძე — ჭიათურის სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. **გილაშვილი**.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. **ლაშქარაშვილი**.

თბილისი, 1980 წლის 26 ნოემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 361 ამხ. კ. მ. იოსელიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო და სამეურნეო საქმიანობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით მეცხოველეობის რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქცხოველმრეწვის“ უფროსის პირველი მოადგილე ამხ. კონსტანტინე მიხეილის ძე **იოსელიანი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. **გილაშვილი**.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. **ლაშქარაშვილი**.

თბილისი, 1980 წლის 26 ნოემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 362 ამხ. დ. დ. მაღალაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, რესპუბლიკური აგრარულ-სამრეწველო-სავაჭრო გაერთიანების თავმჯდომარე ამხ. დურმიშხან დიმიტრის ძე მაღალაშვილი **დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1980 წლის 26 ნოემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 363 ამხ. თ. კ. ქუთათელაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახმშენის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. თინა კონსტანტინეს ასული ქუთათელაძე დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1980 წლის 26 ნოემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 364 ამხ. ვ. ა. ჭურაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის კაპიტალური მშენებლობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 2 ტრესტის მმართველი ამხ. ვახტანგ ალექსანდრეს ძე **ჭურაძე** დაჯილდოვდაეს საქართველოს სსრ **უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1980 წლის 26 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება მესამე

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

1980 წლის 11 ნოემბერს, საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის წინა დღეს, გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა. სხდომამ იმსჯელა სესიის დღის წესრიგისა და მუშაობის წესის შესახებ, საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 წლის სახელმწიფო გეგმისა და 1980 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის, საქართველოს სსრ 1981 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და 1979 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა დარგობრივ კომისიებში წინასწარ გახხილვის შესახებ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ კანონის პროექტისა და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ადვოკატურის შესახებ დებულების პროექტის თაობაზე, მეორე სესიის სახელზე შემოსული წინადადებებისა და შენიშვნების, მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების შესახებ და სხვ.

სხდომამ მოისმინა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ამხ. ნ. ჭითანავას ინფორმაცია საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებისათვის ამომრჩეველთა მიერ მიცემული განაწესების რეალიზაციის მიმდინარეობის შესახებ. აღინიშნა, რომ მინისტრთა საბჭომ დიდი მუშაობა გასწია მათ შესასრულებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი რესპუბლიკის სამართალდამცველ ორგანოებში ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის გამოვლენებთან ბრძოლის საქმეში სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანათა თაობაზე. აღინიშნა, რომ მთელი რიგი საბჭოები და მათი აღმასკომები ვერ ერკვევიან სამართალდამცველი ორგანოების ფუნქციებსა და მუშაობის ფორმებსა და მეთოდებში, არასწორად წარმართავენ მათს მუშაობას, ეწევიან წვრილმან მეურვეობას. კონკრეტული, პრაქტიკული დახმარების ნაცვლად აღმასკომები ხშირად იფარგლებიან სამართალდაცვის საკითხებზე ზემდგომი ორგანოებიდან მიღებული დადგენილებების დუბლირებით, ანალიზს არ უკეთებენ თავიანთ ტერიტორიაზე შექმნილ მდგომარეობას, არ ითვალისწინებენ ადგილობრივ თავისებურებებს. აღნიშნული ორგანოებისადმი ხელმძღვანელობაში არაკომპენტენტურობა და ფორმალიზმი განსაკუთრებით აღინიშნება გარდაბნის, ქარელისა და ზოგიერთ სხვა რაიონში ხშირ შემთხვევაში ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულები არ ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას. უმოქმედობას იჩენენ ამხანაგური სასამართლოები, პროფილაქტიკის საბჭოები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები. ბიუროკრატიზმსა და ფორმალიზმთან შეურიგებლობის ატმოსფეროს დამკვიდრებაში ჯერ კიდევ სუსტია საბჭოების, მუდმივი კომისიების, დეპუტატთა ჯგუფებისა და საგუშაგოების როლი. ამასთან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ბიუროკრატიზმის, ფორმალიზმის, მშრომელთა მოთხოვნილებებისადმი გულგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რილი დამოკიდებულებისა და საქმის გაჭიანურების გამოვლინების ფაქტები შეინიშნება სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების, მათი აღმასრულებელი კომიტეტებისა და აპარატების საქმიანობაშიც.

მოქალაქეთა მიღება ყოველთვის არ წარმოებს მოსახლეობისათვის მოსახერხებელ დროს, გვხვდება მოქალაქეთა განცხადებებისა და თხოვნისადმი უყურადღებო დამოკიდებულების, მათი მიმართვების განხილვის გაუმართლებელი გაჭიანურების მრავალი შემთხვევა, მშრომელთა სამართლიანი მოთხოვნებისა და საჩივრების უგულებელყოფის ფაქტები. მოქალაქეთა მიღებისა და განცხადებების განხილვის პროცესში მიღებულ ინფორმაციებს იშვიათად იყენებენ საზოგადოებრივი აზრის შესასწავლად, არ ითვალისწინებენ მიმდინარე და პერსპექტიული ამოცანების გადაჭრისას.

მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფის და ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლის გაძლიერების საკითხებს იშვიათად იხილავენ აღმასრულებელი კომიტეტების, მუდმივი კომისიების სხდომებზე, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების სესიებზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოებისა და მათი აღმასრულებელი კომიტეტების ერთერთ მთავარ ამოცანად მიაჩნია შინაგან საქმეთა და იუსტიციის ადგილობრივი ორგანოების, თითოეული დაწესებულებისა და საწარმოს. უპირველეს ყოვლისა კი თვით აღმასკომების, მათი სამმართველოებისა და განყოფილებების მუშაობაში ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურების, მოსახლეობის საჭიროებებისადმი უყურადღებო დამოკიდებულების გამოვლინებათა აღმოფხვრა.

ბრძოლა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ უნდა წარმოადგენდეს სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის ზრუნვის განუყოფელ ნაწილს, სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარების, სსრ კავშირის კონსტიტუციით გარანტირებულ მოქალაქეთა უფლებათა და თავისუფლებათა ცხოვრებაში განუხრელად გატარების საშუალებას.

პრეზიდიუმის სხდომამ განიხილა სხვა საკითხებიც. ყველა მათგანზე მიღებულია შესაბამისი დადგენილება.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის კომისიის სხდომა, რომელმაც განიხილა სამელიორაციო მშენებლობის გეგმების შესრულების და ამ დანიშნულებით გამოყოფილი თანხების ათვისების მდგომარეობა რესპუბლიკაში. აღინიშნა, რომ მეათე ხუთწლედის განვლილ წლებში მთავარსაქწყალმშენმა გარკვეული მუშაობა გასწია სამელიორაციო და წყალსამეურნეო მშენებლობის დარგში. ამ პერიოდში ათვისებულია 320 მილიონი მანეთის კაპიტალდაბანდებები, აქედან სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე — 250 მილიონი მანეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



აღნიშნულის მიუხედავად სამელიორაციო მშენებლობის საქმეში ჯერ კიდევ გარკვეული ხარვეზებია. მნიშვნელოვანი ჩამორჩენაა ძირითადი ფონდების ჩაბარების გეგმის შესრულებაში. მიმდინარე წლის 9 თვეში საექსპლუატაციოდ არ გადაცემულა 40 მილიონი მანეთის ძირითადი ფონდები, რის გამოც დიდია დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობა.

დაბალია მთავარსაქწყალმშენის სამშენებლო ორგანიზაციების ფინანსური და ეკონომიური მაჩვენებლები. მეათე ხუთწლედის განვლილ პერიოდში არ შესრულდა შრომის ნაყოფიერების ზრდისა და მოგების გეგმა, რაც გამოწვეულია შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების პროგრესული ფორმების დანერგვის და სამუშაო პროცესების მექანიზაციის დაბალი დონით. არარაციონალურად გამოიყენება მექანიზმები და ტრანსპორტი, ხშირია მათი მოცდენები და არარიტმული მუშაობა. სამშენებლო ობიექტებზე ადგილი აქვს კადრების დენადობას და სხვ.

კომისიის მუშაობა შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ დეპუტატმა გ. ჩიგოგიძემ.

განხილულ საკითხზე კომისიამ მიიღო სათანადო დადგენილება.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. სირაძე.

## საინფორმაციო ცნობები

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 28 ნოემბრის ბრძანებულებით „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლით“ დაჯილდოვდა 85 დედა:

| | | |
|---|---|---|
| ქ. თბილისის ლენინის რაიონიდან | | — 4 |
| „ გლდანის „ | | — 6 |
| „ საქარხნო „ | | — 3 |
| ქ. ტყიბულიდან | . . . . . . | — 3 |
| ქ. წყალტუბოდან | . . . . . . | — 1 |
| ახალქალაქის | რაიონიდან . . | — 12 |
| ბოგდანოვკის | „ . . . . | — 4 |
| გარდაბნის | „ . . . . | — 6 |
| გეგეჭკორის | „ . . . . | — 1 |
| ზუგდიდის | „ . . . . | — 5 |
| ლაგოდეხის | „ . . . . | — 12 |
| მარნეულის | „ . . . . | — 18 |
| მახარაძის | „ . . . . | — 4 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოხატაურის „ . . . . — 3
ცხაკაიას „ . . . — 4

*
* *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 18 იანვრის ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 27 ნოემბრის ბრძანებულებით „შრომის ვეტერანის“ მედლით დაჯილდოვდა 1.376 კაცი:

ქ. თბილისის კალინინის რაიონიდან — 21
„ კიროვის „ — 4
„ 26 კომისრის „ — 24
„ საქარხნო „ — 82
„ გლდანის „ — 150
ქ. ზუგდიდიდან . . . . . . . — 90
ქ. რუსთავიდან . . . . . . . . — 34
ქ. ქუთაისის ავტოქარხნის . . . — 30
ადიგენის რაიონიდან . . — 51
ახალქალაქის „ . . . . . . — 82
გარდაბნის „ . . . . . . — 31
გეგეჭკორის „ . . . . . . — 2
გორის რაიონიდან . . . — 422
გურჯაანის „ . . . . . . — 2
თიანეთის „ . . . . . . — 27
თეთრი წყაროს „ . . . . . . — 9
ლაგოდეხის „ . . . . . . — 49
ლანჩხუთის „ . . . . . . — 29
ლენტეხის „ . . . . . . — 2
მაიაკოვსკის „ . . . . . . — 22
მარნეულის „ . . . . . . — 122
ორჯონიკიძის „ . . . . . . — 4
საგარეჯოს „ . . . . . . — 68
წულუკიძის „ . . . . . . — 19.